საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №211

2024 წლის 16 ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2022 წლის 30 ნოემბრის №561 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2022 წლის 30 ნოემბრის №561 ბრძანებულებაში (www.matsne.gov.ge, 30/11/2022, 010210040.08.002.017078) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებულებით დამტკიცებული წესის:

1. მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სტაჟიორთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს ადმინისტრაციის მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 20%-ს.“.

2. V თავის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის V^1 თავი:

„თავი V^1

სტაჟიორის მივლინება

მუხლი 12^1

1. სტაჟიორი შესაძლებელია, ადმინისტრაციის უფროსის გადაწყვეტილებით, სამუშაოს განსახორციელებლად გაგზავნილ იქნეს მივლინებით.

2. სტაჟიორს აუნაზღაურდება სამსახურებრივი მივლინების ხარჯები. სტაჟიორს მივლინების პერიოდში უნარჩუნდება შრომის ანაზღაურება.

3. სტაჟიორის მივლინებით გაგზავნის წესი, მისი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობა და პირობები, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სხვა სოციალური გარანტიები, განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანებულება ამოქმედდეს 2024 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**